



საქართველოს სტრატეგია და საერთაშორისო ურთიერთობათა ქსევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

61

**კუთინის ომი სირიაში: მიზეზები და
სტრატეგიული შედეგები**

გიორგი ბაღრიძე



ექსპერტის აზრი

2016



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი ბაღრიძე

**კუთინის ომი სირიაში: მიზეზები და
სტრატეგიული შედეგები**

61

2016



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-8742-4

პუტინს უყვარს სიურპრიზების მოწყობა. 2015 წლის სექტემბერში დასავლეთი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, როცა პუტინმა სირიაში სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. თავიდანვე ნათელი იყო, რომ მას იმდენად „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის სურვილი (როგორც ის ამას ამტკიცებდა) კი არ ამოდრავებდა, არამედ მრავალი სხვა მიზეზი, რომელთაგან უმეტესი საერთოდ არ უკავშირდებოდა სირიას. ჩემი ნარკვევის მიზანია პუტინის ზრახვების გაანალიზება და იმის შეჯამება, თუ რას მიაღწია.

პუტინის მსოფლმხედველობის საუკეთესო ახსნა მისივე სიტყვებით შეიძლება, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლა მან „მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ ტრაგედიად“ დაახასიათა. ამასთან, სირიის კამპანიაში მისი მოტივების გასაგებად უნდა გადავხედოთ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში გამოუცხადებელი ომის შედეგად რუსეთში შექმნილ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას და შევადაროთ 2016 წლის გაზაფხულის ვითარებას, როცა მან გამოაცხადა, რომ მიაღწია თავის მთავარ მიზნებს სირიაში და გამოჰყავდა სამხედრო კონტინგენტის ძირითადი ნაწილი.

განსხვავებით 2008 წელს საქართველოში შემოჭრისა და მისი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ შექმნილი მდგომარეობისაგან, როცა დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობები რამდენიმე თვეში აღდგა, პუტინის ჰიბრიდულმა ომმა უკრაინაში რუსეთი ეკონომიკური სანქციებსა და ღრმა პოლიტიკურ იზოლაციაში მოახვედრა. ნავთობის ფასის დრამატული ვარდნის ფონზე (რაც, შეთქმულების თეორიების მოყვარულთა აზრის საწინააღმდეგოდ, არ ყოფილა დაკავშირებული სანქციებთან) ამან რუსულ ეკონომიკაზე ხელშესახები გავლენა იქონია: რუბლი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, დასავლური ინვესტიციები და კრედიტები შეწყდა და აუცილებელი ტექნოლოგიები ხელმიუწვდომელი გახდა რუსული მრეწველობისთვის, განსაკუთრებით – ენერგეტიკული სექტორისთვის.

სხვა ვითარებაში პუტინი თავს მოაჩვენებდა, თითქოს არაფერი ხდებოდა, რომ არა „განთავისუფლებული“ ყირიმის პრობლემები და დონბასიდან რუსული გამარჯვებების შესახებ დიდი ხნის წინ შემწყდარი ამბები. აღმოჩნდა, რომ ყირიმის ნახევარკუნძული, მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაწილი გახდა, იზოლირებულ კუნძუ-

ლად გადაიქცა, წყლისა და ელექტროენერჯის ნორმალური მომარაგების გარეშე, სადაც ცნობილი პლაჟებიც დაცარიელდა. ყირიმის მთავარი ინდუსტრია ჯერ კიდევ დენის და წყლის მიწოდების შეწყვეტამდე დაზარალდა: 2014 და 2015 წლების ტურისტული სეზონი სრულად ჩავარდა – რუსულმა ხელისუფლებამ ტურისტები თავად რუსეთიდანაც კი ვერ მიიზიდა (არადა მათ არა უბრალოდ სთავაზობდნენ, არამედ პრაქტიკულად აიძულებდნენ ვიზიტს), რომ არაფერი ვთქვათ უცხოელ ვიზიტორებზე.

კარგი ამბები არც დონბასიდან – მეორე უკრაინული ფრონტიდან – მოდიოდა. სულ უფრო იკვეთებოდა, რომ რუსები აქ ჩაეფლნენ და რაიმე ახალი გამარჯვებების პერსპექტივა ილუზორული გახდა. ყირიმიდან და უკრაინის აღმოსავლეთიდან მომავალი ცუდი ამბების თანხვედრა მზარდ ეკონომიკურ პრობლემებსა და საერთაშორისო იზოლაციასთან პუტინის რეჟიმმა სერიოზულ საფრთხედ აღიქვა. პუტინი კარგად უწყოდა, რომ მისი სუპერრეიტინგი ახალი პროპაგანდისტული არაკებით უნდა გამოეკვება, რათა მის მხარდამჭერებს რეალურ პრობლემებზე ფიქრისთვის არ მოეცალათ.

სწორედ ამ დროს, ნინასწარი გაფრთხილების გარეშე, რუსული შენაერთები სირიაში შევიდნენ. მაშინ პუტინმა განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაციის მთავარ მიზანს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა წარმოადგენდა – ტერორისტულ ორგანიზაციასთან, რომელსაც სირიის და ერაყის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდა დაკავებული. თითქმის მაშინვე გახდა ნათელი, რომ ისლამური ტერორიზმის პრობლემა რუსეთისთვის პრიორიტეტების სათავეში სულაც არ იდგა. რუსული ავიაცია სისტემატურად და განუკითხავად ბომბავდა უმეტესად დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციის ძალებს და მშვიდობიან მოსახლეობას, ისლამური სახელმწიფოს პოზიციებს კი – 10%-ზე ნაკლებ შემთხვევაში.

ოპოზიციური ძალების განადგურების გზით **ასადის რეჟიმის სტაბილიზაცია** მალევე გამოიკვეთა, როგორც პუტინის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი. ეს კარგად გამოცდილი ტაქტიკა იყო, რომელიც რუსეთის უშიშროების სამსახურებმა წლების წინ ჩეჩნეთში წარმატებით გამოიყენეს. მათ თავიდან ზომიერი სეპარატისტები ამოიღეს სამიზნედ და შედეგად მოწინააღმდეგეებად მხოლოდ ისლამური ტერორისტები დაიტოვეს. შემდეგ კრემლმა შეძლო იმის მტკიცება, რომ ებრძოდა არა ჩეჩენ ხალხს ან თავისუფლების მო-

სურნე სეპარატისტებს, არამედ საერთაშორისო ტერორისტებს, ისევე, როგორც ამას აშშ აკეთებდა წლების მანძილზე. სირიაში სწორედ ამის მსგავსი სცენარი ვიხილეთ.

2016 წლის გაზაფხულისთვის, სირიაში რუსეთის უშუალო სამხედრო ინტერვენციიდან მხოლოდ ექვს თვეში, ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა. მიუხედავად იმისა, აპირებს თუ არა პუტინი ბაშარ ალ ასადის ბოლომდე დაცვას, უკვე ფაქტია, რომ მან ასადის პრაქტიკულად განწირული რეჟიმი გადაარჩინა და ანგარიშგასანევ ძალად აღადგინა. მეტიც, ამიერიდან **აშშ/დასავლეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო რუსეთ-სირია-ირანის ლერძი რეგიონში ყველაზე ძლიერ ძალად დამკვიდრდა.**

როგორც ვახსენე, ეს იმის შედეგად გახდა შესაძლებელი, რაც რუსეთმა მეტწილად გაანადგურა ეგრეთ ნოდებულები ზომიერი ოპოზიცია, რომელსაც მხარს დასავლური სახელმწიფოები უჭერდნენ. მეტიც, მშვიდობიანი მოსახლეობის და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართულმა დაბომბვამ ჩრდილოეთ სირიიდან თურქეთისა და ევროპისკენ მიგრაციის არნახული ტალღა დაძრა, რაც სრულმასშტაბიან ჰუმანიტარულ კატასტროფაში გადაიზარდა. მასობრივმა მიგრაციამ, მილიონობით ლტოლვილთან ერთად, ევროპაში ნამდვილი პოლიტიკური კრიზისიც წარმოშვა. პუტინის მიერ ევროპის ულტრამემარჯვენე ანტიიმიგრანტული პარტიების მხარდაჭერის ფონზე აშკარა ხდება, რომ მისთვის **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იმ ევროპული მთავრობების დასუსტებაც იყო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რუსეთისათვის დაწესებული სანქციების გაუქმებას.**

სირიაში შეჭრისთანავე პუტინმა განაცხადა, რომ კრიზისის გადასალახად **აშშ-ს და მის ევროპულ მოკავშირეებს რუსეთთან უნდა ეთანამშრომლათ.** დასავლეთის თავდაპირველი რეაქცია ყოველგვარ ენთუზიაზმს იყო მოკლებული, თუმცა პარიზში ტერორისტულმა თავდასხმამ და პუტინის წარმატებულმა კამპანიამ სირიაში ყველაფერი შეცვალა. პუტინი იზოლაციიდან გამოვიდა და მასთან ვიზიტებს მოუხშირეს ვაშინგტონელმა თუ პარიზელმა სტუმრებმა. შედეგად მან კვლავ მიიღო მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოთამაშის პრივილეგია. არ მაქვს პირდაპირი სამხილი, რომ პუტინი პარიზის და ბრიუსელის ტერაქტების ორგანიზატორებთან კავ-

შირში დავადანაშაულო, მაგრამ ფაქტია, რომ სირიაში მის როლთან ერთად ტერორის ახალმა ტალღამ მას დიდი დახმარება გაუწია საერთაშორისო მოლაპარაკებების მაგიდასთან დაკარგული ადგილის დასაბრუნებლად. საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის შემდეგ პუტინი ამჟამად შანტაჟის გზით ეკონომიკური სანქციებისგან თავის დაღწევასაც ცდილობს, რაც, ჩემი აზრით, თავიდანვე მის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

მიღწევების მიუხედავად, პუტინის კამპანიას გართულებების გარეშე არ ჩაუვლია. მას სერიოზული პრობლემა ნაკლებად მოსალოდნელ ადგილას – თურქეთში შეექმნა. რუსეთ-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობები წლების განმავლობაში სტაბილურად მყარდებოდა, რასაც პუტინისა და ერდოღანის პირადი კონტაქტებიც უწყობდა ხელს. არაერთ დამკვირვებელს გამოუთქვამს აზრი, რომ ორი ლიდერი ერთმანეთს მმართველობის სტილით წააგავდა (კერძოდ, „ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებით“ და ხისტი ხასიათით). მიუხედავად იმისა, მართლა ჰგვანან ერთმანეთს თუ არა, ერდოღანის ხასიათის სიმტკიცემ პუტინს მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქმნა, როდესაც მას დაუმტკიცა, რომ თურქეთის დაჯახბნა ადვილად არ გამოუვიდოდა. მე, რასაკვირველია, ვგულისხმობ რუსული სუ-24 ტიპის ბომბდამშენის ინციდენტს, რომელმაც ორ ქვეყანას შორის ღრმა კრიზისი გამოიწვია.

თურქეთი წლების მანძილზე თამაშობდა მნიშვნელოვან როლს სირიაში და მისი ინტერესები ხშირად არ ემთხვეოდა დასავლეთისას. აშშ-ის და მისი ევროპელი მოკავშირეების მსგავსად, თურქეთი ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგე იყო და მას არასტაბილურობის მთავარ წყაროდ განიხილავდა. ამავე დროს თურქეთის ხელისუფლება აქტიურად არ ჩაბმულა ისლამური სახელმწიფოს შენაერთებთან ბრძოლაში. გარკვეული ანტიასადური ძალების მხარდაჭერის პარალელურად (ძირითადად სირიელი თურქმენების რაზმების), თურქეთი სირიაში საკუთარი უსაფრთხოებისთვის მთავარ პრობლემად PKK-თან დაკავშირებულ ქურთულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს განიხილავდა და არა – ისლამურ სახელმწიფოს.

ამგვარ ვითარებაში რუსეთმა დაიწყო თურქეთის მთავარი მოკავშირეების – თურქმენების აქტიური დაბომბვა, რომლებიც სირიისა და თურქეთის სასაზღვრო რეგიონებს აკონტროლებდნენ. თავიანთი რეიდებისას რუსული თვითმფრინავები თითქმის რეგუ-

ლარულად არღვევდნენ უშუალოდ თურქეთის საჰაერო სივრცესაც. თავისი მოკავშირეების სისტემატური დაბომბვებით და თავისი სუვერენული საზღვრის მრავალჯერადი დარღვევით უკმაყოფილო თურქეთმა არაერთი გაფრთხილება გადასცა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და საბოლოოდ იძულებული გახდა ჩამოეგდო რუსული თვითმფრინავი.

ამ ინციდენტმა არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების ღრმა კრიზისს მისცა დასაბამი, არამედ გავლენა იქონია რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე: თუ პარიზის ტერაქტებმა პუტინს მისთვის კრიტიკულად საჭირო შესაძლებლობები გაუხსნა და აიძულა საფრანგეთის პრეზიდენტი, რომ ანტიტერორისტულ კოალიციაში რუსეთის ჩართულობა მოეთხოვა (რაც პუტინის უმთავრესი მიზანი იყო), თურქეთთან მოულოდნელმა კონფლიქტმა რუსეთის საერთაშორისო მიღწევები მნიშვნელოვნად შეკვეცა.

მორიგების ნაცვლად, თავიანთი შეუვალი პოზიციის გამო, პუტინმა და ერდოღანმა კონფლიქტი ღრმა ჩიხში შეიყვანეს. ერდოღანმა ბოდიშის მოხდაზე (რასაც რუსეთი ითხოვდა) უარი განაცხადა, ხოლო პუტინმა სანქციებით იძია შური – მან თურქულ საქონელზე სრული ემბარგო დააწესა და რუს ტურისტებს თურქულ კურორტებზე გამგზავრება აუკრძალა. სანქციებმა თურქეთის ეკონომიკას საგრძნობი ზარალი მიაყენეს, მაგრამ ამ სიამოვნებაში პუტინს საკმაოდ დიდი ფასის გადახდა მოუწია, როგორც ეკონომიკურის, ისე პოლიტიკურის.

მიუხედავად ყველაფრისა, **პუტინმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს მიაღწია – მან რუსი მოქალაქეების ყურადღება რუბლიდან და უკრაინული ჩიხიდან ბევრად უფრო სახალისო საგანზე გადაიტანა.** თვეების მანძილზე ძლევამოსილი რუსული პროპაგანდის მანქანა მათ შორეულ ქვეყანაში რუსული მხედრობის მორიგ გამარჯვებებზე უყვებოდა, რითაც უმყარებდა რწმენას, რომ რუსეთი ისევ დიადი სახელმწიფო გახდა. ისინი ტელეეკრანებზე უცქერდნენ, თუ როგორ მოფრინავდნენ რუსული რაკეტები კასპიის ზღვიდან სირიის მიმართულებით (მათ, რა თქმა უნდა, არ უთხრეს, რომ ამ რაკეტებიდან ზოგმა სირიამდე საერთოდ ვერ ჩააღწია, რომ არაფერი ვთქვათ მიზანში მოხვედრაზე). ასე იყო თუ ისე, რუსი მოქალაქეების გონებაში ბოლო ხანებში მიმდინარე ვირტუალურ ომში ტელევიზორმა ისევ დაამარცხა მაცივარი.

მოდის, შევაჯამოთ სირიაში პუტინის საომარი კამპანიის შედეგები:

1. მან გადაარჩინა ასადის რეჟიმი და შეკრა ალიანსი სირიასთან და ირანთან, რომელიც დღესდღეობით რეგიონში ყველაზე მძლავრი დაჯგუფებაა და ამავდროულად დაასუსტა აშშ-ის და მისი მოკავშირეების პოზიციები;
2. მშვიდობიანი მოსახლეობის სისტემატური დაბომბვებით მან ევროპის ქვეყნებისკენ სირიელი ლტოლვილების არნახული ნაკადები მიმართა, რის შედეგადაც ევროკავშირში პოლიტიკური არასტაბილურობა და იმ პოლიტიკური ლიდერების დასუსტება გამოიწვია, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სანქციების გაუქმებას.
3. მან გაარღვია დიპლომატიური და პოლიტიკური იზოლაცია, რომელშიც ყირიმის ანექსიის და დონბასში წარმოებული ომის შედეგად აღმოჩნდა. განსხვავებით ექვსი თვის წინანდელი მდგომარეობისგან, დღეს დასავლელი ლიდერები მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ სირიის მომავალსა და ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით.
4. თუკი 2015 წლის შუაში რუსები იმის მონმენი გახდნენ, რომ პუტინი ვერ ამარცხებდა უკრაინას (რომელსაც ის ნამდვილ ქვეყნადაც არ აღიარებს) და რომ ვერ მოუარა პატარა ყირიმს – ყველაფერი ზეომოხსენბულის განხორციელებით მან შექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთმა დაიბრუნა სუპერსახელმწიფოს სტატუსი. ამის შედეგად მან საკუთარი პოზიცია და ძალაუფლება გაიმყარა, რომელიც საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, თუკი რუსებს ყირიმზე, დონბასსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე ფიქრის საშუალება მიეცემოდათ.
5. სირიული ავანტიურის ყველა შედეგი არ ყოფილა დაგეგმილი და მომგებიანი კრემლისთვის: პუტინმა მეგობარი თურქეთი მონინალმდეგედ აქცია, რაც მას, სულ მცირე, მოკლედ და საშუალო ვადიან პერსპექტივაში სირთულეებს შეუქმნის. სხვა პრობლემებს შორის უკვე რეალობაა, რომ ახალი რუსული გაზსადენის პერსპექტივა, რომელიც „სამხრეთის ნაკადის“ ჩაშლილი პროექტის ერთადერთი ალტერნატივა იყო და რომელსაც რუსული გაზი სამხრეთ ევროპის გაზგამანაწილებელ სისტემასთან უნდა დაეკავშირებინა, რუსეთ-თურქეთის პარტნიორობასთან ერთად გაქრა.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა არ უნდა მისცენ რუსეთს მათი დამანტაჟების საშუალება თავი არ მოიტყუონ, თითქოს ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის დამყარებასა და ტერორიზმთან ბრძოლაში პუტინი შეიძლება მათი სანდო პარტნიორი გახდეს.

ერთი რამ ყველასთვის ნათელი უნდა იყოს – რუსეთის ქმედებები უკვე დიდი ხანია ცივი ომის პარადიგმებზეა დაფუძნებული და ამის იგნორირება დაუშვებელია.